განკარგულება:**გ-63. 632435914**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის '' 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" III თავის მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის ,,ტ"ქვეპუნქტის და მე–3 პუნქტის IV თავის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად განიხილა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' 2025 წლის პროგრამის, ასევე ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის '' 2025 წლის პროგრამა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' 2025 წლის შემოსავლების გეგმა სუბსიდიის ჩათვლით (დანართი №2).
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის '' 2025 წლის ხარჯი (დანართი N3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის '' 2025 წლის 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი №4).

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზნები

დანართი N1

პროგრამა: საზოგადოებასთან ურთიერთობა / ინფორმირებულობა **(პროგრამული კოდი 05 04)**

ქვეპროგრამა: ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 04).

აღწერა:

1. საიტის ადმინისტრატორის მიერ დაყენებულია პროგრამა რომლის საშუალებითაც ცნობილია საიტის სტუმართა რაოდენობა.

2. სოციალური პროგრამა 2009 წლის თებერვალში დაიწყო. მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კომპიუტერის პედაგოგი ისევე როგორც ინგლისურის, სისტემატურად აკეთებს მოკლე ანგარიშებს, როგორც სტუდენტთა რაოდენობაზე ასევე მათი სწავლის ხარისხზე.

3. პერიოდულად ვატარებთ სოციალურ გამოკითხვებს, რომლის საშუალებითაც ვარკვევთ თემის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ყოველი ექვსი თვის შედეგებს ვაჯამებთ.

4. საიტი მგრძნობიარეა გენდერული თვალსაზრისით და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. საიტზე ცალკე გვერდი აქვს მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს. გვერდზე ქვეყნდება, როგორც ოფიციალური დოკუმენტები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე პერმანენტულად შუქდება საბჭოს საქმიანობა.

მიზანი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ამ მიზნით შეიქმნა ცხელი ხაზი და საინფორმაციო ყუთი. საინფორმაციო ცენტრი არის შემქმნელი და ადმინისტარატორი სამტრედიის ოფიციალური ვებ გვერდის www.samtredia.com.ge

ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები. Samtredia.com.ge -ზე პერნამენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. ასევე ცენტრის მთავარი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და ამ მიზნით არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

ღონისძიება:

ა) არაფორმალური განათლება.

ბ) ტრენინგი .

გ) საგაკვეთილო პროცესი (ინგლისური, კომპიუტერი) .

რესურსი:

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

1. მოსახლეობის საჭიროებების გამოკვლევა.

2. სოციალური პროექტი ინგლისურის და კომპიუტერების კურსები.

3. საზოგადოების ინფორმირებულობა.

საბოლოო შედეგი:

1. საზოგადოების ინფორმირება საიტის საშუალებით და სოციალურ ქსელში მასალების განთავსება.

2. ახალგაზრდული ჯგუფის წევრების ჟურნალისტური უნარ–ჩვევების გამომუშავება.

3. თემში ინგლისური ენისა და კომპიუტერის უნარ–ჩვევების გაუმჯობესება.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის 2025 წლის შემოსავლების გეგმა
(სუბსიდიის ჩათვლით)

ათ. ლარი

№	შემოსავლების დასახელება	თანხა (ათ. ლარი)
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	65.5
2	საკუთარი შემოსავლები	1.0
	ჯამი	66.5

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის 2025 წლის ხარჯები

ათ. ლარი

	ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუფსიდიით გასაწევი ხარჯები	2025 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
1		**0504**	**ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი**	**66.50**	**65.50**	**1.00**
2			**მომუშავეთა რიცხოვნობა**	**7**	**7**	
2	**2**		**ხარჯები**	**66.50**	**65.50**	**1.00**
2	**2.1**		**შრომის ანაზღაურება**	**60.50**	**59.50**	**1.00**
3	**2.2**		**საქონელი და მომსახურება**	**6.00**	**6.00**	**0.00**

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი

ლარებში

#	თანამდებობა	შტატის რაოდენობა	დარიცხული ხელფასი (ლარი)	ერთი წლის სახელფასო ფონდი
1	დირექტორი	1	1241	14892
2	პროგრამისტი	1	895	10740

3	ჟურნალისტი	1	678	8136
4	ოპერატორი	1	448	5376
5	ბუღალტერი	1	690	8280
6	ინგლისურის სპეციალისტი	1	557	6684
7	ჟურნალისტი	1	448	5376
	სულ;	7	4957	59484

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი